ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №67

20.10.2020 წ.

14:00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, ერეკლე კუხიანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. რევაზ სოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. ზაზა მამალაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. დავით უთმელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. თევდორე ისაკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ვახტანგ შაქარიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. დავით ჭელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. ჯაბა ჯიშკარიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
2. ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა გაიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 9 ოქტომბრის №12-03202833-03 წერილი) - ოქმს ერთვის

   /**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 9 ოქტომბრის №12-0320283108-03 წერილი) - ოქმს ერთვის

   /**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 15 ოქტომბრის №12-03202892-03 წერილი) - ოქმს ერთვის

   /**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 16 ოქტომბრის №12-032029049-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

5. **მიმდინარე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 19 ოქტომბრის №12-032029370-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

**მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 9 ოქტომბრის №12-03202833-03 წერილი)

**დღის წესრიგის პირველი საკითხი** წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 7 ოქტომბრის №20.1175.1474 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 13 წინადადება - №01202592785-67, №01202592599-67, №01202403230-67, №01202594-67, №01202484145-67, №0120254760-67, №01202761253-67, №0120273881-67, №01202673814-67, №01202744156-67; №01202181895-67, №0120219864-67, №01202795033-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01202592785-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, „ავშნიანის" დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.13.11.484) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1 -ით (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა 2020 წლის 31 აგვისტოს №16-0120244278 წერილის მიხედვით, შეითანხმა საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.

ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების და სატრანსპორტო ქსელის მოწესრიგების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №72.13.11.484 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, „ავშნიანის" დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.13.11.484) ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01202592599-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, „ავშნიანის" დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო

კოდი: №72.13.11.483) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა 2020 წლის 31 აგვისტოს №16-0120244278 წერილის მიხედვით, შეითანხმა საგზაო მოძრაობის სქემა.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01202403230-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, „ჩალიპირებში" მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.72.14.031.435, №01.72.14.031.436) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2020 წლის 30 სექტემბრის №01202743173 წერილის მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიაზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ფაქტობრივად არ წარმოადგენს გზას. მიწის ნაკვეთები შემოსაზღვრულია ღობით და არ გამოიყენება გზის ფუნქციით. ამასთან, №01.72.14.031.435 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ნაკვეთს გააჩნია ალტერნატიული მისასვლელი გზა.

ამასთან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

აღნიშნული ცვლილებით წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.72.14.031.435 და №01.72.14.031.436 საკადასტრო ერთეულების მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება. აღნიშნული ცვლილება არ გამოიწვევს საპროექტო არეალში მოქცეულ საკადასტრო ერთეულებთან მისასვლელი გზის გაუქმებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, „ჩალიპირებში" მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.72.14.031.435; №01.72.14.032.436) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01202594-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და ნავთობბაზას შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.14.004.228) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 17 სექტემბრის №18-01202613038 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენის მოხსნა.

№01.19.14.004.228 საკადასტრო ერთეული მოქცეულია პერიფერიულ ზონაში (პზ). მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). ამასთან, საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო განვითარება დაგეგმილია საწარმოო და სასაწყობე დანიშნულებით.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **№01202594-67 განცხადების** განხილვის გადადება დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01202484145-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, V მიკრო/რაიონი, №2გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.098) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 5 ოქტომბრის №18-01202791496 წერილის მიხედვით, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების თანახმად ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

აღნიშნული ცვლილებით წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.14.01.001.098 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ, გზის გასწვრივ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, V მიკრო/რაიონი, №2გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.098) და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№0120254760-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.056.047) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 14 სექტემბრის №18-01202584451 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ვინაიდან, №01.72.14.056.047 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილი ყვება წყლის ობიექტების სანიტარული დაცვის არეალში, მასზე მოქმედებს მდინარის წყალდაცვითი ზონის შეზღუდვა. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი განიხილება წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.056.047) საკადასტრო საზღვრებში, აღნიშნული წყალდაცვითი ზონის შეზღუდვის არეალს მიღმა დარჩენილ ტერიტორიაზე.

ამასთან, ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.72.14.056.047 საკადასტრო ერთეულის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5).

ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.72.14.056.047 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ, მდინარეთა წყალდაცვითი ზონის გასწვრივ, შეზღუდვის არეალს მიღმა არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.056.047) ნაწილზე და მიმდებარედ, მდინარეთა წყალდაცვითი ზონის გასწვრივ, ძირითადი რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის ნაწილის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№01202761253-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის შესახვევი, №30-№30ა და შ. ნუცუბიძის პლატოზე, II, III და IV მიკრორაიონების მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.16.015.043; №01.14.16.015.068; №01.14.16.015.289) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის შერეული საცხოვრებელი ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს, რომლის შესაბამისადაც განვითარებულია საპროექტო მიწის ნაკვეთების მიმდებარე ტერიტორია.

ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ არ მოხდეს ფუნქციური ზონის ფრაგმენტაცია და ერთიანი კონტურის რღვევა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) და საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება ხორციელდება №01.14.16.015.043; №01.14.16.015.068 და №01.14.16.015.289 საკადასტრო ერთეულების მიმდებარე არეალზეც.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 7 ოქტომბრის №18-01202811356 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა მოთხოვნილ არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენის - ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის შესახვევი, №30-№30ა და შ. ნუცუბიძის პლატოზე, II, III და IV მიკრორაიონების

მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.16.015.043; №01.14.16.015.068; №01.14.16.015.289 და მიმდებარე ტერიტორია) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) და საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „თ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - **№0120273881-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, კაჭრეთის ქუჩა №23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.13.078.030) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

ამასთანავე, არსებული მიწის ნაკვეთის სამხრეთ ნაწილზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება არ შეცვლის ტროტუარის კონფიგურაციას.

- განმარტებითი ბარათის „ი“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - **№01202673814-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ევროპის ჩიხი №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.15.001.117) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანი არის სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში 2020 წლის 25 აგვისტოს შპს "ზუმის" მიერ შეტანილი განცხადება (№80965/ფ), რომლის საფუძველზეც დასმულია საკითხი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ევროპის ჩიხი №2-ში მდებარე 11672 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების "აწარმოე საქართველოში" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პრივატიზების შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაინტერესებული კომპანია გამოთქვამს მზადყოფნას, განახორციელოს 3 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია და მოაწყოს შესაფუთი მასალების, მუყაოს ყუთების, ყველა სახის ეტიკეტისა და ქაღალდის პარკების მწარმოებელი საწარმო და უზრუნველყოს შემოთავაზებული პროდუქტების წარმოება.

ზემოაღნიშნული უძრავი ქონება წარმოადგენს ისეთ მიწის ნაკვეთს, რომელიც არ მოიცავს სპეციალური ზონისათვის დამახასიათებელ ინფრასტრუქტურას. მიწის ნაკვეთს

მიმდებარედ ესაზღვრება №01.19.15.001.082 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, რომელიც განთავსებულია სამრეწველო ზონაში.

ამდენად, ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობის მიზნით, ზემოაღნიშნული ფუნქციის განვითარების და აგრეთვე განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამუშავების პირობით ქალაქ თბილისში, ევროპის ჩიხი №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.15.001.117) სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „კ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-10 პუნქტი) - **№01202744156-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.066.063) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 8 სექტემბრის №18-01202523349 წერილის მიხედვით სამსახური თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ასევე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდებოდა ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

- განმარტებითი ბარათის „ლ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-11 პუნქტი) - **№01202181895-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.07.130) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) სარეკრეაციო ზონა 3-ით დაზუსტება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 7 აგვისტოს №18-01202202883 წერილის მიხედვით გამომდინარე იქიდან, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მთელს არეალზე ვრცელდება ზოგადი სარეკრეაციო ზონა და მხოლოდ №81.08.07.130 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) გავრცელება გამოიწვევს ტერიტორიის ფრაგმენტაციას, საჭიროა განისაზღვროს გარკვეული არეალი და შემდგომ დაზუსტდეს ზოგადი სარეკრეაციო ზონა კონკრეტული ქვეზონით.

ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით №81.08.07.130 საკადასტრო ერთეულზე და მიმდებარე არეალზე მოთხოვნილი სარეკრეაციო ზონა (რზ) დაზუსტდეს სარეკრეაციო ზონა 3-ით.

ასევე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე არეალზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.07.130) და მიმდებარე ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ) სარეკრეაციო ზონა 3-ით დაზუსტება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „მ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-12 პუნქტი) - **№0120219864-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.39.070) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებულ ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 7 ოქტომბრის №18-01202814058 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) შეიცვალოს სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ფენა.

მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და გარემოს საქალაქო სამსახურის პოზიციის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.39.070) და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებულ ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა მისაღებია

- განმარტებითი ბარათის „ნ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-13 პუნქტი) - **№01202795033-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერების ქ. №38-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.01.19.409) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილია მრავალფუნქციური ახალგაზრდული სოფლის მშენებლობა, რომელიც ითვალისწინებს ახალგაზრდებისთვის ერთ სივრცეში

საცხოვრებელი, საგანმანათლებლო, კულტურულ-გასართობი, სპორტული და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის შექმნას.

აღნიშნული ცვლილებით წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №81.01.19.409 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

პროექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერების ქ. №38-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.01.19.409 და მიმდებარედ) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

**სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01202592785-67, №01202592599-67, №01202403230-67, №01202484145-67, №0120254760-67, №01202761253-67, №0120273881-67, №01202673814-67, №01202744156-67; №01202181895-67, №0120219864-67, №01202795033-67 (სულ: 12 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და სხვა წინადადება არ გამოთქმულა.**

**სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:**

1. **გადადებულ იქნას №01202594-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და ნავთობბაზას შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.14.004.228) მოთხოვნილი ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნის საკითხის განხილვა, **დამატებითი შესწავლის მიზნით,** საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.
2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 9 ოქტომბრის №12-03202833-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 12 წინადადება - №01202592785-67, №01202592599-67, №01202403230-67, №01202484145-67,

№0120254760-67, №01202761253-67, №0120273881-67, №01202673814-67, №01202744156-67; №01202181895-67, №0120219864-67, №01202795033-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას №01202594-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და ნავთობბაზას შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.14.004.228) მოთხოვნილი ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნის საკითხის განხილვა, **დამატებითი შესწავლის მიზნით,** საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.
2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 9 ოქტომბრის №12-03202833-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 12 წინადადება - №01202592785-67, №01202592599-67, №01202403230-67, №01202484145-67, №0120254760-67, №01202761253-67, №0120273881-67, №01202673814-67, №01202744156-67; №01202181895-67, №0120219864-67, №01202795033-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 9 ოქტომბრის №12-0320283108-03 წერილი)

**დღის წესრიგის მეორე საკითხი** წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 8 ოქტომბრის №20.1188.1478 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - №01202481937-67, №01202262354-67, №01202482-67, №012021813-67, №01202312062-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01202481937-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მიროტაძის (ყოფილი ოჟიოს) ქუჩა №3-15-17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.13.033.935) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე „ქ. თბილიში, მიროტაძის და ფიზკულტურის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 1-ლი ივლისის №1405 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მიროტაძის (ყოფილი ოჟიოს) ქუჩა №3-15-17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.13.033.935) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01202262354-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, წავკისში, კოჯრის გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე დამტკიცებულია „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, კოჯრის გზატკეცილზე არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №210 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1-ლი ოქტომბრის №290 განკარგულება, რომელიც ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო არეალის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის მცირე ნაწილზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წავკისში, კოჯრის გზის მიმდებარედ მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01202482-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა №20-ის მიმდებარედ, ხელოვანთა ქ. №2-სა და ქალაქ თბილისში, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩა №24-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.001.122; №01.17.10.001.102: №01.17.10.001.123) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე დამტკიცებულია „ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ხელოვანთა ქ. №2-ში, შანდორ პეტოფის ქუჩა კორპ. №431 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1-ლი ოქტომბრის №289 განკარგულება, რომელიც ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილებით წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №01.17.10.001.123 და №01.17.10.001.102 საკადასტრო ერთეულების მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება ფუნქციური ზონის, კერძოდ, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა №20-ის მიმდებარედ, ხელოვანთა ქ. №2-სა და ქალაქ თბილისში, ნიკო მუსხელისშვილის ქუჩა №24-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.001.122; №01.17.10.001.102; №01.17.10.001.123) დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება, ასევე, წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, №01.17.10.001.123 და №01.17.10.001.102 საკადასტრო ერთეულების მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№012021813-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნავთლუღის ქუჩა №10-ში; ქალაქ თბილისში, ბაღდადის ქუჩა (ნაკვეთი 23/043; ნაკვეთი 23/40) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.061) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე დამტკიცებულია „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბაღდადის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.044) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №445 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1-ლი ოქტომბრის №291 განკარგულება, რომელიც ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონების ცვლილებით წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №01.17.12.023.061 საკადასტრო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ იცვლება ფუნქციური ზონა, კერძოდ, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბაღდადის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.061) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და ასევე, წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით №01.17.12.023.061-ის მიმდებარედ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01202312062-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ „ვარკეთილის" მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.003.109) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე დამტკიცებულია „ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ „ვარკეთილის" მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.003.109) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1-ლი ოქტომბრის №281 დადგენილება, რომელიც ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონების ცვლილებით წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, მიმდებარედ არსებული ტერიტორიის მცირე ნაწილზე გავრცელებული საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მეტროსადგური „ვარკეთილის" მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.003.109) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და ფუნქციური ზონის ცვლილებით წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით №01.19.36.003.109 საკადასტრო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია.

**სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01202481937-67, №01202262354-67, №01202482-67, №012021813-67 და №01202312062-67 განცხადებასთან (სულ: 5 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

**სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე** დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 9 ოქტომბრის №12-0320283108-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის

გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №01202481937-67, №01202262354-67, №01202482-67, №012021813-67, №01202312062-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

**რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 9 ოქტომბრის №12-0320283108-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №01202481937-67, №01202262354-67, №01202482-67, №012021813-67, №01202312062-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 15 ოქტომბრის №12-03202892-03 წერილი)

**დღის წესრიგის მესამე საკითხი** წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა

გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 12 ოქტომბრის №20.1197.1494 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01202821705-67(№01202673057-67)).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი - **№01202821705-67(№01202673057-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ბელინსკის და ბარნოვის ქუჩის კუთხეში, ვ. ბარნოვის ქუჩის №28/30-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.035.011) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანებული ფენის ადგილმდებარეობისა და კონფიგურაციის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 30 სექტემბრის №18-01202743836 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის შესაბამისად განხორციელდეს შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის ადგილმდებარეობისა და კონფიგურაციის ცვლილება.

ამავე წერილის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების შემთხვევაში, შენარჩუნებული უნდა იქნას მასზე განთავსებული მწვანე ნარგავები.

მოთხოვნილი ცვლილებით არ მცირდება შიდა კვარტალური გამწვანებული ტერიტორია, ამასთან, ავთენტური სახით შენარჩუნდება გამწვანებული ბაღის ლანდშაფტი და ნარგავები.

**№01202821705-67(№01202673057-67) განცხადებასთან (სულ: 1 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

**სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 15 ოქტომბრის №12-03202892-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01202821705-67(№01202673057-67)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

**რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 15 ოქტომბრის №12-03202892-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01202821705-67(№01202673057-67)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 16 ოქტომბრის №12-032029049-03 წერილი) - ოქმს ერთვის

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხი** წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 15 ოქტომბრის №20.1213.1504 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01202833331-67).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი - **№01202833331-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩა №47ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონი, კრწანისის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №112 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1-ლი ოქტომბრის №280 დადგენილება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩა №47ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

**სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01202833331-67 განცხადებასთან (სულ: 1 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

**სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 16 ოქტომბრის №12-032029049-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01202833331-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

**რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 16 ოქტომბრის №12-032029049-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01202833331-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე (მიმდინარე) საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 19 ოქტომბრის №12-032029370-03 წერილი)

**დღის წესრიგის მეხუთე (მიმდინარე) საკითხი** წარმოადგინა ოთარ ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1-ლი ოქტომბრის №64-103 დადგენილებით დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესი (დანართი №1). იმავე დადგენილებით, ასევე, დამტკიცებულ იქნა ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის საზღვრების რუკა“ (დანართი №2).

თბილისის წყალსაცავის სანიტარული დაცვის ზონის დადგენა მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის აღსრულების პროცესში, ვინაიდან, აღნიშნულ არეალში არსებული მიწის ნაკვეთების განაშენიანებაზე მსჯელობისას შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენდა სანიტარული დაცვის ზონების ზუსტი რეჟიმის დაუდგენლობა. კერძოდ, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი №2-ის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ „A“

არეალზე განსაზღვრული რეგლამენტის შესაბამისად: ,,სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია თბილისის ზღვის სანიტარიული დაცვის/წყალდაცვითი ზონის გათვალისწინებით, შესაბამისი ურბანული, გარემოსდაცვითი და სატრანსპორტო კვლევების საფუძველზე, ტერიტორიის მაქსიმალურად სარეკრეაციო ფუნქციით უზრუნველყოფის პირობით''.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1-ლი ოქტომბრის №64-103 დადგენილებით დამტკიცებული სანიტარული დაცვის ზონების საზღვრების მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ასახვის მიზნით, დღის წესრიგში დადგა ცვლილების შეტანის აუცილებლობა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში (დანართი №1).

**სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

**სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 19 ოქტომბრის №12-032029370-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

**რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 19 ოქტომბრის №12-032029370-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი დოხტურიშვილი